ტფილისი

№ 198
1877

ივერია

№ 198
1903

სექტემბერი 17, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 17, ოთხშაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

ვისაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს, დააჩქარონ ფულის გამოგზავნა.

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელმისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.
ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6. იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. 10—6—7

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ნაფიცი ვექილი

გ. ი. ბქელიშვილი

გადავიდა მიხეილის ქუჩიდან ველიკოკნიაჟესკაია ქუჩაზე, როტინოვის სახლში, № 10, (გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით). მთხოვნელებს მიიღებს ჩვეულებრივ ყოველ დღე შაბათს გარდა საღამოობით 7-დგან 9 საათამდე.

ი ს ყ ი დ ე ბ ა

შემოსავლიანი სახლი

ელიზაბედ გრიგოლის ასულის საგინაშვილისა. შეიძლება გაიშინჯოს ყოველ დღე დილის ათ საათიდან შუადღის ოთხ საათამდე. ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (5—6—1)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მოჩინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ,

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროატები 3 მან. 5 მანეთამდე, სამკურნალო გამართულებულია ოცი კროატით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო
სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი,

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა,

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

⁂ კვირას, 14 სექტემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, როგორც მოხსენებული გვქონდა, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ წირვის შემდეგ პარაკლისი გადაახდევინა მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სადღეგრძელოდ და ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად. ეს ამბავი გუბერნიის მარშალმა თ-დ დ. ზ. მელიქიშვილმა დეპეშით მოახსენა მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდს მთავარს ნიკოლოოზ მიხეილის ძეს და მეორე დღესვე, 15 სექტემბერს, მიიღო შემდეგი პასუხი:

„ჩემ ყველას გვიამა და გულითად მადლობას ვუძღვნით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ფრიად მხურვალე თანაგრძნობისათვის ჩვენის ძვირფასის მამისადმი, რომელსაც თქვენის გულთბილის დეპეშის შინაარსს მოვახსენებ, როცა შესაძლო იქნება“.

ნიკოლოოზ მიხეილის ძე.

ამავე დღეს გუბერნიის მარშალმა მეორე დეპეშა მიიღო მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდ-მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის კარის გამგებელ გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვისაგან, რომელიც ატყობინებს, მისი უმაღლესობა თანდათან მოკეთდაო და იმედი გვაქვს მალე კანნას გავემგზავრებითო.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლისა და კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ-სარდლისა ბრძანებით, ტფილისის სამხედრო წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში გადახდილ იქნება პარაკლისი მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ჯანმრთელობისათვის. პარაკლისი დილის 10 საათზე დაიწყება.

⁂ ქალაქის საბჭოს გუშინწინ სადამოს დაახლოვებით შემდეგის სიტყვით მიჰმართა ქალაქის მოურავმა: მოგეხსენებათ, რომ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე ამ ჟამად შეუძლოდ ბრძანდება. ამ გარემოებამ მაფიქრებინა და დარწმუნებული ვარ, ამასვე ჰფიქრობთ თქვენც და ჩვენი საერთო სურვილია—გადავიხადოთ პარაკლისი მის უმაღლესობის განსაკურნებლად. საბჭომ ერთხმად მოიწონა ქალაქის მოურავის სურვილი და მიანდო სათანადო განკარგულება მოახდინოს. დღე და ადგილი თვით ქალაქის მოურავმა უნდა შეურჩიოს.

⁂ გუშინ დილით, სათავად-აზნაურო სასწავლებელში პარაკლისი გადაიხადეს მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ჯანმრთელობის აღსადგენად.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებელს 15 სექტემბერს დეპეშით ეუწყა, ამიერ-კავკასიის ქალაქებში—ყარსსა, განჯას, შუშასა და ნუხაში უნდა შემოღებულ იქმნას დებულება წეს-წყობილების გაძლიერებულ დაცვისა. კავკასიის მთავარ-მართებელმა გამოაცხადა ეს განკარგულება, რათა დებულება აღსრულებულ იქმნას („კავკაზი“).

⁂ სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო ქონების მიღებას მართებლობის მოხელენი შეუდგნენ 2 სექტემბერს. როგორც „კავკაზი“ იუწყება, დღემდე მიღებულია მამულები და ქონება ქ. ტფილისში, განჯას, ნუხას, შუშას, ბაქოს, ქუთაისსა და ბათუმში, ზაქათალის ოლქში და ჩერნომორიის გუბერნიის თუაფსისა და სოჭის ოლქებში. ქ. ეკატერინოდარში, არმავირს, ყიზლიარს, მოზდოკს, პეტროვსკს და დერბენტში. მიღებულია აგრეთვე ეჩმიაძინის მონასტრის მამულები ვაღარშაფათში, ოშაგანს, მუღნსა და ეღვარტში, აგრეთვე მამულები, რომელიც დასახელებულ ადგილებში ანუ სხვაგან არიან. მიღება მამულებისა, როგორც ამ მონასტრისა ისე სხვა მონასტრებისა და ეკლესიებისა ჯერ არ გათავებულა.

დასახელებულ ადგილებში მომეტებულ ნაწილად მამულები მშვიდობიანად ჩაიბარეს მართებლობის მიერ დაწესებულ კომისიებმა. სამწუხაროდ, ზოგ ადგილს-კი სომხის ხალხი აცდინეს ბოროტგანმზრახველმა კაცებმა ცრუ და უკეთურ ამბის გავრცელებით შესახებ 12 ივნისის კანონისა და მის შედეგისა და ამის გამო სომხები იკრიბებოდნენ ეკლესიებთან, მამულების ჩაბარების დროს, უწესოებას ახდენდნენ, ძალადობდნენ და იარაღით ეწინააღმდეგებოდნენ პოლიციას. რასაც თავის დროს გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა. დაწვრილებითი ცნობები იმ მამულების შესახებ, რომლებიც მიღებულია, მთავრობის განკარგულებაში, გაზეთ „კავკაზში“ იქმნება გამოქვეყნებული.

⁂ გუშინ და გუშინ წინ ტფილისში არ მოსულა მოსკოვის გაზეთები. ამის შესახებ „ნოვ. ობოზრ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა: „აქაური გაზეთები 10 სექტემბერს არ გამოვა, რადგან ასოთ-ამწყობთა რიცხვი ამ ჟამად მცირეა მოსკოვშიო“.

⁂ როგორც გადმოგვცეს, არსდება ორი ახალი თანამდებობა სახალხო სასწავლებლების ინსპექტორებისა ტფილისის სადირექციოში, ერთი ქ. გორში და მეორე თელავში.

⁂ სახალხო სკოლების ინსპექტორის ვ. ნ. პავლოვის მაგივრად, რომელმაც მიიღო მომრიგებელ შუა კაცის თანამდებობა, დაინიშნა ინსპექტორად 2 საქალებო გიმნაზიის მასწავლებელი ს. ნ. შულგინი.

⁂ რადგან დიდძალი მოსწავლე ბავშვი მიაწყდა ნიკოლოოზის სახელობაზე დაარსებულ ქალაქის სასწავლებელს და ვაკანსია კი არ იყო, სამოსწავლო მთავრობას ნება დაურთავს გახსნან პარალელური კლასი მესამე განყოფილებისა, სადაც მიღებულ იქნებიან 50 ბავშვამდე. განყოფილება თავის მოქმედებას დაიწყებს 20 სექტემბერს.

⁂ ამ დღეებში ავჭალის რკინის გზის სადგურზე, როდესაც მატარებელი დაიძრა მცხეთისაკენ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს დაუცლია რევოლვერი. ტყვია მოხვედრია ვაგონის მინას, რომლის ნამსხვრევებსაც მსუბუქად დაუჭრია ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ე. ვ. ჩემესოვი. ამავე დროს ვიღაცას უსროლია ფანჯარაში დიდი ქვა, რომლითაც ჩაულეწილა ვაგონის მინა. ბ-ნს ჩემესოვს ამ საქმის გამო უჩივლია და გამოძიება სწარმოებს.

⁂ ბაქოს გუბერნატორს ოფიციალურად შეუტყობინებია ბაქოს ქალაქის მოურავისათვის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს დაურთავს ნება ქალაქის საბჭოსათვის გამოსცეს გაზეთი, ქალაქის მოურავის რედაქტორობით. გაზეთს სახელად ეწოდება: „ბაქოს ქალაქის საბჭოს ცნობანი“.

⁂ როგორც გადმოგვცემს გაზეთი „კასპი“, 13 სექტემბერს, დიდიხნის ავადმყოფობის შემდეგ, თავი მოუკლავს ცნობილ ბაქოელ მილიონერს ალი-აბას დადაშევს. მიცვალებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველ საზოგადო საქმეში და ოთხი წელიწადი ხმოსნადაც იყო. ეხმარებოდა აგრეთვე ღარიბებს და აძლევდა შემწეობას საქველმოქმედო დაწესებულებას. დადაშევს თავის სახლის ფანჯარაზე ჩამოუხრჩვია თავი.

⁂ ქალაქ ტფილისთან ამ ზაფხულს სავარჯიშოდ დაბანაკებული ჯარი თავთავის ადგილს მიდის, უკანასკნელ დღეს 13 სექტემბერს დიდი ალლუმი ჰქონდა.

⁂ სოხუმიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქაურ საბჭოს ხმის უმეტესობით (22 თეთრი და 13 შავი) ქალაქის მოურავად აურჩევია ბ-ნი აბულაძე, ხოლო წევრად—ბ-ნი მაჰავარიანი.

⁂ გაგრის სამცენარეულო გამოფენის კომიტეტი გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ გამოფენა დაიწყობა 19 სექტემბერს და სთხოვს ექსპონენტებს დაესწრნენ ამ დღეს გამოფენას.

⁂ კრება მცენარეულობის მცოდნეთა და მომყვანთა იქნება გაგრაში 25 სექტემბერს, პეტერბურგის ბოტანიკო ბაღის დირექტორის, ფიშერ ფონ-ვალდჰეიმის თავმჯდომარეობით. სამეურნეო მინისტრის წარმომადგენლად დანიშნულია ა. ი. ბაზაროვი, რომლის გარდა სპეციალისტებიც დაესწრებიან: კარცევი, პაშკევიჩი, კალაიდა, სპეშნევი და ივანოვი.

⁂ „კავკაზ“-ში დაბეჭდილა შემდეგი ოფიციალური ცნობა: „12 სექტემბერს, ქალაქ შუშაში, მთავრობის მოხელეების მიერ სომეხთა საეკლესიო ქონების მიღების დროს, შეიკრიბა დიდძალი სომხობა, რომელმაც ყვირილი და სტვენა დაიწყო. მაგრამ ამან ქონების მიმღებთ საქმეზე ხელი ვერ აღებინა. როდესაც კომისია, საქმის დამთავრების შემდეგ, უკან ბრუნდებოდა, აღელვებული ხალხი გუბერნატორის სადგომისაკენ გაემართა. ხალხის შესაჩერებლად გაჰგზავნეს საპოლიციო დარაჯნი და 50 ყაზახი, რომელთაც ქვისა, რევოლვერებისა და თოფების სროლით მიეგებნენ ქუჩებსა, სახლის ბანებსა და აივნებიდან. ყაზახებმა სროლა დაიწყეს და ქუჩა დააცარიელეს. დაიჭრა ორი ყაზახი და ერთი საპოლიციო დარაჯი. ხალხიდგან ერთი მოკვდა. რადგან ჩამობნელდა, დაჭრილთა რაოდენობა ვერ გამოარკვიეს“.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობასთან დაარსდა სკოლა, რომელიც მოამზადებს ლიანდაგზე მოსამსახურეებს. სწავლა უფასოა. სკოლას აქვს 4 განყოფილება სხვა-და-სხვა თანამდებობაზე მოსამზადებლად. პირველ განყოფილებაში ამზადებენ მეისრეებს და კონდუქტორებს, მეორეში—საკომერციო ნაწილის კონტორის გამგეებს და ამწონებს, მესამეში—სატეხნიკო ნაწილის კონტორის გამგეებს და სადგურის უფროსის თანაშემწეებს და მეოთხეში—„ტაკსიროვშჩიკებს“, კასსირებს, გადამცემ აგენტებს და სადგურის უფროსებს. თხოვნა უნდა დაიწეროს მატარებელთა მიმოსვლის უფროსის სახელზე და თან წარედგინოს საბუთები ვინაობისა, სწავლისა და სამსახურისა. პირველ განყოფილებაში მიიღებიან 21—28 წლისანი, რომელთაც იციან რუსული ლაპარაკი და წერა. მიიღებიან უფრო სამხედრო ბეგარა მოხდილნი, რომელთაგანაც უნტერ-ოფიცრები ჩარიცხულნი იქმნებიან კონდუქტორის თანამდებობის შესასწავლად. მეორეში—18—28 წლისანი, რომელთაც გათავებული აქვთ 4 კლასი საშუალო სასწავლებლისა (რეალურ სასწავლებლისა, გიმნაზიისა, სასულიერო და სამოსწავლო სემინარიისა), პროგიმნაზია, 6 კლასიანი სამაზრო სასწავლებელი, 5 და 6 კლასიანი საქალაქო და სასულიერო სასწავლებლები. ყველამ კარგად უნდა იცოდეს რუსული ლაპარაკი; მესამეში—21 წლისანი, რომელთაც ერთი წელიწადი მაინც უმსახურიათ საკომერციო ნაწილში კანტორის გამგეებად, ამწონებად ან

ტელეგრაფისტებად. მეოთხეში—მიიღებიან ისინი, ვინც სადგურის უფროსობაზე ემზადება და არა ნაკლებ 21 წლისაა. ამას გარდა ვინც სადგურის უფროსობაზე ემზადება, ის ნამსახური უნდა იყოს სატეხნიკო ნაწილში კონტორის გამგეთ ან კიდევ სადგურის უფროსის თანაშემწედ არა ნაკლებ ერთის წლისა. კასსირობისთვის საჭიროა ერთის წლის ნამსახურობა კონტორის გამგედ ან ამწონად. სწავლა დილის 8-დან ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს ექვსიდან 9 საათამდის იქნება. სწავლა 16 ოკტომბრიდან იწყება. პირველ და მეორე განყოფილებაში ზამთარ-ზაფხულ იქმნება სწავლა, ხოლო მესამესა და მეოთხეში სწავლა სწყდება არა უგვიანეს 15 მაისისა. კურს-დამთავრებულნი ჩაირიცხებიან კანდიდატებად.

—

შეცდომის გასწორება

ჩვენ გვქონდა ამას წინად გამოცხადებული, რომ რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ მივიღეთ ვინმე ანეტასაგან 5 მანათიო. შემომწირველის გვარი-კი არ იყო მოხსენებული. ეს ანეტა გახლავთ გვარად კაპანაძე, ავტორი ამას წინად ცალკე წიგნაკად დაბეჭდილის ლექსთა კრებულისა.

კიდევ ქუთაისის ტაძრის რესტავრაციის გამო.

(წერილი ქუთაისიდან).

ამ ზაფხულს საზღვარგარეთ ვიყავ წასული და გაზეთები არ მითვალიერებია. დავბრუნდი თუ არა ქუთაისში, დავუწყე თვალიერება ქართულს გაზეთებს და სხვათა შორის «ივერიის» № 169-ში შემხვდა წერილი „ქუთაისის ტაძრის რესტავრაცია“. ხალისიანად დავიწყე კითხვა, მეგონა საყურადღებო იქმნებოდა, მაგრამ, ორიოდე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ, დავრწმუნდი, რომ ავტორი ტყუილს უფრო ამბობდა, ვიდრე მართალს. მართალია მხოლოდ ის, რომ იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის გულითადი სურვილი იყო ბ—ნ მრევლიშვილისათვის მიეცა მოხატვა ქუთაისის ტაძრისა. სწორედ ამის გამო, მრავალ ნაცნობ მხატვართა შორის მარტო იგი მიიწვია ქუთაისში თავის საკუთარის ხარჯით ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. უეჭველად დანარჩენი კორესპონდენტის წერილში მოკლებულია სიმართლეს და უფრო ზღაპარსა ჰგავს, ვიდრე მართალს ამბავსა.

ყველაზე მეტად საწყენია კორესპონდენტის აზრი მოწამეთის მონასტრის გამშვენების შესახებ. „ვიღაც უბრალო მოხუპნავისათვის მიუციათ ეს მძიმე საქმე და ძველი ტაძარი სრულიად დაუმახინჯებიათ“,—მოსთქვამს ვითომდა საქმისათვის გულშემატკივარი კორესპონდენტი.

ნეტავი ვიცოდეთ, რომელ ისტორიულ საბუთების ძალით უწოდებს კორესპონდენტი მოწამეთის ეკკლესიას ძველს ტაძარს? უნახავს-კია თავის თვალით მოწამეთის წინანდელი მხატვრობა? ხოლო თუ უნახავს, უკითხავს ვისთვისმე, როდის და ვინ მოჰხატა ეს ეკკლესია?

წერილის დამწერისა რა მოგახსენოთ და აქ-კი ყველა შეგნებულმა იცის, რომ მოწამეთის ეკკლესიის მახინჯი, ყოვლად უვარგისი და ჩვენის ეროვნების დამამცირებელი მხატვრობა არავითარს სიძველეს არ წარმოადგენდა. საკმაოა გავიხსენოთ, რომ ამ ეკკლესიის დასავლეთ კედელზე გადაღებული იყო სახე იმ დროინდელ მაღალ-ხარისხოვანთა, გენერალთა და მათთა თანამეცხედრეთა. ყველანი შარავანდედ მოსილნი იყვნენ, ვითა წმინდანები.

აი რა სიძველეს მისტირის დრკუ კორესპონდენტი!

ახლა იკითხეთ, ბატონო, ვინ იყო ის გამოჩენილი მხატვარი? ის იყო გადმოსახლებული ბერძენი, რომელსაც სრულიად უსარგებლია ჩვენის ბერების გონება-დახშულობით და სწორედ რომ შეუბღალავს და შეუგინებია ყოველი ჩვენი წმინდანი. მაგალითად, დავით აღმაშენებლის სურათი წარმოადგენდა ტფილისელ მეზავრანე სპარსის მზგავსებას, ხოლო წმიდა ნინო—ყავახანის დედაკაცს. ეს რად გინდათ. ძველი კანკელი ახლად შენახულია. გაშინჯონ ეს მხატვრობა მცოდნე კაცებმა და ვნახოთ, რას იტყვიან კორესპონდენტის მსჯელობის შესახებ.

ახლანდელი მხატვრობა-კი მოწამეთში ანდრეევის ხელობაა და როგორი მოთხუპნულია იგი. შეგიძლიანთ გაიგოთ იმათგან, ვისაც უნახავს მისი ნამუშავარი შიო მღვიმის მონასტერში. ჩვენის წმინდანების სახენი უმეტნაკლებოდ არის გადაღებული საბინინის წიგნიდან. მაგრამ შეიძლება კორესპონდენტი ამ მხატვრობასაც სდებდეს წუნს. ვინ იცის, კაცია და გუნებაო!

რაიცა შეეხება იმ გარემოებას, რომ ქუთაისის ტაძრის მოხატვა მიეცა არა ქართველს, არა მართლ-მადიდებელს, არამედ სრულიად უცხო კაცს, ეგ რასაკვირველია სამწუხაროა, მაგრამ რას იზამთ, რომ ქართველობაში ასე ნაკლებად არიან სპეციალისტები და სხვა-და-სხვა ხელოვნების დარგის ზედ-მიწევნით მცოდნენი?! არამც თუ საეკკლესიო მხატვრობა არ არის ჩვენ შორის განვითარებული, არამედ ბევრ სხვა ხელოვნებაშიაც ვგოჭლობთ და კარგი ხელოსნობაც-კი გვიჭირს.

ვითომ და ქართველობისათვის გულ-შემატკივარი კორესპონდენტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სხვაზე მეტად იმას არ შესტკივა გული თავის ქვეყნისათვის. სამშობლოს სიყვარულს პრივილეგიათ მარტო ის ვერ გაიხდის.

ძველის-მოყვარული.

სვანეთში ორი კვირით

(შემდეგი *)

მეორე დილით, შაბათს, 12 ივლისს ექვს საათზე მოვასხედით ცხენებს და ცხენის წყლის მარცხენა ნაპირს გავედით და ასე ვიარეთ ჩოლურამდე პანტა-მაჟალოიან ცხენის წყლის მარცხენა ნაპირზედ; აქ ისევ გავედით ცხენის წყალ გაღმა, სადაც მდ. ხეშკური ერთვის, ლიჯის ციხის ნანგრევებთან. გადავედით ფიშყორის ღელეში; უნდა გენახათ, რა საშინელის ჰექა-ქუხილით გადმოდიოდა კლდეზედ აქაფებული ფიშყორი! ჩვენ ბარე ათი საჟენის სიმაღლიდან ჩავყურებდით, ცხენები-კი კატებივით მიინაბებოდნენ კლდის ძირას გასულ საცალფეხო ბილიკზედ. ფიშყორს გავედით და შევუდგეთ კიდეც ლათბარის მთას. იქნებოდა რვა საათი.

მეტად მდიდარი მცენარეულობაა: მაღლა წვეთივით აზდილი—მურყანი, წიფელი, ქორაფი, ნაკერჩხალი და სხ. ერთმანეთს ეცილებიან—არა მე მაღალი ვარ, არა მეო. დაბლა მოსდებიან—დუდღუბო, ძახველა, თხილი, თრიმლი, ნარინჯი და სხ. შიგ მოდებულია ყვავილოვანი შამნარი, ყოველ ნაბიჯზე ანკარა სეტყვასავით ცივი ნაკადული გადმოჩახჩახებენ ერთი დავიდარაბით ჰ აგრილებენ წმინდა-უბიწო ჰაერსა. ნახევარ საათი არ გასულიყო ჯერ, რომ მცენარეულობა შეიცვალა: ტოტებ-ჩამოშვებული არყის ხე, ჩვენი საყვარელი მუხა. ბალღოჯ-აყრილი თხილი, ლაფანი და სხ. გზას მშვენივრად გვიჩრდილავდნენ. გზა მთის ფერდობზედ გადიოდგამოდიოდა და გველივით მაღლა მაღლა მიიკლაკნებოდა. რამდენიც მაღლა ავდიოდით, იმდენი ტყე თხელდებოდა და ცხენის წყლის ხეობა ზევით-ქვევით ნელნელა ხელის გულივით წინ გვეშლებოდა; აღმოსავლეთით თოვლიანი მაღალი ქითხარის მთა ღრუბლებში გახვეულიყო, იმის დაყოლება გაღმიდგან თოვლიანი მთები ზაგერისა, ზიაღის თავი, როკალისა, თეთენარისა, ნალიშისა და სხ. მშვენიერის ტყით შემოსილი ფერდობებით გადმოგვყურებდნენ; შიგა და შიგ თეთრად აქაფებული ნაკადულები ჩამოხტდნენ ცხენის წყლისაკენ. დაბლა ცხენის წყალი ალაგ-ალაგ მოიზლაზნებოდა, ალაგალაგ გაშმაგებული მიჰყეფდა ქვეით. ხსჩოლური და სასაში ვრცელის ნახნავნათესით სასიამოვნოდ შემოგვცინოდნენ დაბლიდგან და გულს გვიმხიარულებდნენ, ცხენები კი მიიკაკვებოდნენ ნელ ნელა—კლდიდგან კლდეზე ადიოდნენ და ჩადიოდნენ. ასე თერთმეტ საათზედ დეციდზედ ჩამოვხდით და დავისვენეთ, რაკი ჩამოცხა კარგა რიგიანათ, წყლის დალევას ერთმანეთს ვეცილებოდით, ისეთი მშვენიერი წყარო გადმოჩუხჩუხებდა იქვე გზის პირად. შევუდექით გზას და ერთ საათზედ სარაგზედ ჩამოვხდით. აქ ერთი საცოდავი წყაროა. აქ გამოვეთხოვეთ ჩრდილოვან ტყეს და დავნაყრდით თუ არა, ავემართენით ტიტველა ლათბარის მთაზე. ათასნაირი ბალახი ყვაოდა, ზოგი ჯერ არც-კი გაშლილიყო; ყოველ მხრივ ცივი სიო სულს გვიბრუნებდა და სანეტარო სუნნელებას გვაყნოსებდა. ჩვენ მაღლა მოვექეცით ცხენისწყლის გაღმა მთებსა. ღრუბლებს ზევიდგან დავყურებდით. თოვლის ზვინებით მოვსებული კლდე-ღრეები ჩვენს დაბლა დარჩა, მდინარეთა სათავეები ჩვენს დაბლა მიწანწკარებდნენ. ყოველ მხრივ წამდაუწუმ სურათი იცვლებოდა: ღრუბლები ფუტკრის მართვესავით ირეოდნენ, ხან იქ, მაღალ მთებს მოეხვეოდნენ, ხან დაბლა ღელეებში ჩაწვებოდნენ, აღმა დაღმა მოძრაობდნენ.

როცა ღრუბლები გაშორდებოდნენ, თვალს იტაცებდნენ ცხენის წყლის გაღმა მთები: ხშირად აქა-იქა ჩაწოლილ თოვლისა და ყინულებისაგან აჭრელებულიყვნენ, ჭითხარის მთა ხან გვიცინოდა, როცა მოიწმენდავდა, ხან გვიბღვეროდა. ჩვენ დაბალ ფერდობებზედ გაშლილი ცოტაოდენი საქონელი ტკბილად შეექცეოდა სუნნელოვან ბალახსა და კუდით და ყურებით იგერიებდა მრავალ ბუზანკალსა (ბორა). მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენს საცოდავ ცხენებსაცა. კარგა ძალიან ჩამოცხა და ბუზანკალებსაც ამ დროს სცოდნიათ გაავება.

აგერ გზა ორად გაიყარა: ჩვენ მარჯვნივ ავუხვიეთ, უშკულისაკენ გადასავალს.

დიდება ღმერთსა! აგერ ავაღწიეთ ლათბარის უღელ-ტეხილს, ჩამოვხდით ცხენებიდან. ფეხქვეშ ახლად აბიბინებული ხასხასი მწვანე მოლი გაშლილი იყო უძვირფასეს ფიანდაზივით, მიწა გველრიცებოდა ფეხქვეშ, თოვლი ახალი აღებული იყო. გადავხედეთ ინგურის ხეობას, კავკასიის თოვლ-ყინულით მოსილს უმთავრესს კლდოვან ქედსა. ჩვენ თვალწინ წამოყაყულიყვნენ კავკასიის მოხუცნი ბუმბერაზნი: იალბუზი, უშბა, შხარი, ჯანღითაგი, დისტოლა, თეთნულა, დიჭთაგი და სხ. ჩვენ თითქმის 12 ათას ფუტის სიმაღლეზე ვიდექით. ვაშ იმ ჰაერსა, იმ სუნნელოვან სიოსა! ხარბათ ვსუნთქავდით, ხარბად ვყნოსავდით იმ სანეტარო სურნელებით გაჟღენთილ ჰაერსა. ჩვენ თვალწინ გადაშლილიყო ინგურის ხეობა, ცხენის წყლის სათავე, ინგურისა, რიონისა და სხ.

ჩვენს გარშემო თოვლის ზვინები ბლომად იყო. სიამოვნებით გულსავსემ მოვიგონე პატარა ბიჭობა, გადავხტი თოვლში, დავაგუნდავე თოვლი და დავუშინე ჩემს ამხანაგებსა, ხან ერთს ვუთავაზებდი, ხან მეორესა. რა თქმა უნდა, იმათაც წამაყარეს თოვლის გუნდა და ხან აქეთ დავხტოდით, ხან იქით. იმ ხანად ყმაწვილობის ხანაში ჩაგვაყენა დიდებულმა მთის ბუნებამ. ღმერთმა აცხონოს ჩვენი რაფიელი! ეხლა გავიგე მხოლოდ მიზეზი მთიულთა კლდოვან სამშობლოს სიყვარულისა! ეხლა მივხვდი, განსვენებულს რაფიელს რა ღრმად ჩაუცქერია თვალი მთიულის გულში, როცა ამბობს მთიულის პირით—

„არ გავცვლი სადსა კლდეებსა
სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო!“

ოლონდაც! აბა, რა გასაცვლელია სიცოცხლის ჭახრაკი მთა უსიცოცხლო ბარზედა.

ნურავინ-კი გამიჯავრდებით და, სწორე მოგახსენოთ, მე იქ სიკვდილი მირჩევნია ბარში სიცოცხლესა. ნეტავი ბედნიერ მთის შვილებსა! დავნატრი მთის შვილების ბედსა, მათს კმაყოფილებით სიცოცხლესა! იგინი ცოტასაც სჯერდებიან, ბედნიერნი არიან! ბარში-კი ბევრსაც არა ვსჯერდებით და უბედურნიცა ვართ. მე ლათბარზედ ბედნიერი ვიყავი: აქ რაღაც ტვირთი მომეხსნა გულიდგანა, პატარა თავისუფლათ ამოვისუნთქე, თამამად გავიხედგამოვიხედე, თითქოს თვალიც უკეთ მიჭრიდა იმ ხანათ, გულიც სულ სხვანაირათ სცემდა. ბარში სადაც კამეჩს ვერა ვხედავდი, იმავე მანძილზედ ბუზს ვარჩევდი ლათბარზე. სარკესავით წმინდა ჰაერს ვსვამდი, ვკბეჩავდი, ვეშურებოდი მის მაცხოველებელს სუნნელებასა! ჩემი თავი იმ ხანად მთების მბძანებელი მეგონა. ან კი ვინ შემეცილებოდა? მერე რა სიმშვიდე, რა მდუმარება ჰაერში: არსად ტოროლა, არსად მერცხალი, არსაით არარაიმე ხმაურობა! მშვენიერია ლათბარი მოწმენდილ ამინდში. ვნახოთ მერე, რა იქნება ავდარში!

დავისვენეთ საათნახევარი. გავუსწორეთ ცხენებს საღმართოთ დადგმული უნაგირები სადაღმართოთ და გადავეშვით უშკულისაკენ მიმავალ ბეწვიხიდა ბილიკებზე. საღამოს 5 საათზედ ჩვენ უშკულის საზოგადოების ს. ჟაბიანის ღვთისმშობლის საყდრის მაღლობ ეზოში ჩამოვხდით.

(შემდეგი იქნება.)

მღ. პ. კარბელაშვილი.

ჩვენებური ამბები

რიონ-გაღმის კუთხე. მეტად გრილი და ნოტიო ამინდებია; თითქმის ყოველ ცისმარე დღე წვიმაა; ამის გამო სიმინდის ყანების საქმე ცუდათაა: ჯერ გვიან შემოდის და მერმედ—მუხლებამდე წყალი სდგას ყანებში; მზიანი დღეები რომ დაგვიდგეს, ეგებ ორი კვირის განმავლობაში ამოშრეს წყალი, და ხალხმა მოასწროს აღება მოსავლისა.

ძველი სიმინდი პეპელად გამოდის ყველგან, ახალის მოსავალი-კი უამინდობისა გამო კარგს იმედს ვერ გვაძლევს; ამ გვარად მომავალში საქმე როგორ იქნება არ ვიცით.

ყურძენს წელს ყველა ემადლიერება, რადგან თითქმის ყველგან კარგად ასხია, მაგრამ ისიც ძლიერ გვიან მწიფდება გამუდმებულ წვიმებისა გამო.

დღესასწაულები აქეთ ყველა გათავდა: მარიამობა, დადეკობა (პირველ ენკენისთვეს) და ღვთისმშობლობაც. სტუმრებიც ყველგან საკმაოდ იყო და დღეობამაც მშვიდობიანად ჩაიარა. დაგვრჩა ეხლა მხოლოდ მთავარ-ანგელოზობა, რომელსაც დღესასწაულობენ რვა გიორგობისთვეს.

საქონლის ავადმყოფობამ, და ხალხში ყელის ტკივილმა და მუცელმაც იკლო ყველგან. ეხლა მეტად საჭიროა, სანამ სიმინდის შეკრება დაიწყებოდეს, გზა-ბოგირების შეკეთება.

ვლადო ბზვინელი.

—

ს. ქარჩხაბი (იმერეთი). ქარჩხაბი ხონიდგან ერთ ვერსზეა. ეს სოფელი ძალიან პატარა სოფელია; შიგ ოთხმოცამდე

---

*) იხ. „ივერია“ № 196.

ფელეტონი

შვილის დამკარგავ ორსულ დედას.

(ნიცას)

შეგნიშნე, ცრემლი ობოლი
წამწამზე გეკიდებოდა;
გამოქცეოდა სახმილსა,
გულში რომ გეკიდებოდა.

—

აშვიდფერებდა მარგალიტს,
ვით ცასარტყელას მხიბლავსა;
შიგ იხატავდა აკვანსა
ახალს... და ძველსა საფლავსა.

—

მოსწყდა კურცხალი მთრთოლვარე,
ვერ სძლია გრძნობის გრიგალსა;
სპეტაკ გულ-მკერდზე დაეცა,
შეაშრა ბროლის ფიქალსა.

—

თანაც ღიმილის ჭიატმა
შენ სახეს უსხივ-ცისკარა
და მაზედ გრძნობა ორჭოფი,
შუქურად აამღელვარა.

—

მაშინ-კი მიხვდა მგოსანიც,
თუ რას ნიშნავდა ღიმილი;
რა იყო ცრემლი ობოლი
და ან რად გწვავდა სახმილი?

—

იგლოვდი სისხლ-ხორცს დაკარგულს,
შესტრფოდი თანვე მომავალს
და, სავსე სარწმუნოებით,
იხდიდი სოფლის სესხს და ვალს.

—

ამბობდი: ყოვლად ძლიერო,
წმინდა არს ნება შენიო!!
სიკვდილით ჰბადებ სიცოცხლეს,
თვით ბნელზე ნათლის მფენიო.

აკაკი.

აღელებული ოჯახი.

(სურათი სოფლის ცხოვრებისა)

I

სოფელს იქცევას სწორედ პოეტური ადგილ-მდებარეობა აქვს. სძევს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ სერის პირად, და გასცქერია სამხრეთით ტყით დაბურულს თრიალეთის მთას, დასავლეთით ლიხის მთის ძირამდის დაბა-სოფლებით დაფენილს ქალა-მინდვრებს. მახლობლად, მდინარის იქით, მოსჩანს სადგურით რკინის გზის ლიანდაგი, რომელსაც სოფ. იქცევა, ვით ახალგაზდა მახლობლად მდგომს თვის საქროფოს, ერთ წუთსაც არ აშორებს თვალს; ერთს ორთქლით მატარებელსაც-კი შეუმჩნევლად არ უშვებს...

აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხრით თუმცა ხეხილებით სავსე ვენახები შემოჰხვევია სოფელს, მაგრამ მაინც კიდევ მრისხანედ დასცქერის თოვლით ჩამოლესილი კავკასიონის მთები. სოფელში რამდენიმე სახლი ჟამთა მსვლელობის წყალობით მიწიდგან ამომძვრალა, დანარჩენები-კი ძველებურადვე განისვენებენ წიაღსა შინა მიწისასა. მათს არსებობას დარბაზების მარტო ძველებური გვირგვინები ბუხრად დადგმული ძირ-გავარდნილი ქილები ბელტით, ქვით ან ალიზით უშნოდ ახოხოლავებული ბუხრები თუ ამტკიცებენ, თორემ სხვა არაფერი. აქა-იქ ჭერჩანგრეული ნაოხარი სახლები მოსჩანს. თითო-ოროლა საბძლები და ჯიხურები თავიანთის სახურავებით, სტიქიონთა გამანადგურებელს ძალას მედგრად გამკლავებიან, თავიანთი პირვანდელი შეხედულობა შეურჩენიათ; მომეტებული ნაწილი საბძლებ-ჯიხურებისა მიღვედილ-მოღვედილი და სახურავ ჩანგრეულია...

აგერ, სოფელში ერთს საბძლის ბოლოს შეგროვილან გლეხები და გაცხარებულნი კამათობენ: ვინ რა შეძლების პატრონია და მის და კვალად რამდენი გარდასახადი შევაწეროთო.

— იოკიმე მსხვერპლაძე თავი კაცია, შვილო, და თავი კაცის ხარჯიც უნდა გამოიტანოს!—სთქვა ერთმა.

— ეგა, ბიჭო, ეხლა კი არ არი თავი კაცი, აგერ რამდენი ხანია თავ კაცად ითვლება, თავი კაცის ხარჯსაც იხდის და ეხლა რაღა თავს გააქნევს?!.—დაუმატა მეორემ.

— რაღა თავს გააქნევს, შვილო, შეძლება არა აქს, თუ როგორ არი?! შეძლება კი არა, აღელებული ოჯახი აქს, აღელებული!—გაიძახის მესამე.

— მაგის ოჯახში, კაცო, ქონება დუღს და გადმოდის და რაღა ლაპარაკი უნდა, რომ თავი კაცის ხარჯსაც გამოიტანს—დააბოლოვა მეოთხემ.

ვინ იყო იოკიმე მსხვერპლაძე—ეს საგანი იქცეველ გლეხთა კამათისა?..

—

17—18 წლისა იქნებოდა იოკიმე, როცა რკინის გზაზედ მუშაობა დაიწყო. მთელი შვიდი წელიწადი ერთგულად შრომობდა და საუკეთესო მუშის სახელსაც ატარებდა, რის გამო ყველაზედ მეტს ჯამაგირსაც აძლევდნენ. იოკიმეს რაც რამ სანოვაგე სჭირდებოდა გზაში, სულ შინიდგან მიჰქონდა, ჯამაგირს კი სახლში უგზავნიდა დედ-მამას, რომლებიც მხნედ და სარისტიანად ფორჩხალობდნენ. გარედ იოკიმესი და შინ მისი დედ-მამის მეცადინეობამ ოჯახი, ცოტა არ იყოს, წინ წამოსწია. ოჯახის ქონებრივად წინ წამოწევამ აღუძრათ სურვილი მდგმოიარეობის მოწყობისა. მდგმოიარეობის დამთავრების შემდეგ, დედ-მამის რჩევით, იოკიმემ გზაში მუშაობას თავი დაანება და დაქორწილდა; დატრიალდა შინ და ერთგულად ჩასჭიდა ხელი ხვნა-თესვამეოჯახეობას. იოკიმემ თავის მოხერხებულს, მარჯვე და მხნე მუშაობაში დიდი ნიჭი გამოიჩინა, რის გამოც მისი ყოველივე საქმე თავის დროზედ გაწალდული იყო. იოკიმეს კარგი ლაპარაკი და საუკეთესო სარისტა მთელს სოფელში გაითქვა.

იოკიმე მსხვერპლაძის ოჯახში ცხრა სული ადამიანი ითვლებოდა: დედ-მამა იოკიმესი, თითონ თავის მეუღლით და ხუთის შვილით, რომელნიც სანაქებო მორბედებად მოსწრებოდნენ: ორი ქალი და სამი ვაჟი. ერთი ვაჟი მწყემსად იყო და ორიც გუთანზედ დაჰყავდა; ერთი ქალიშვილი შინ დედას და დიდედას ეხმარებოდა, მეორეს კი არა შეეძლო-რა სიპატარავის გამო.

მათი მოძრავი ქონება იყო: სამ-უღელი ხარ-კამეჩი; ოთხი ძროხა თავის მონაგრებით; ერთი ფაშატი ცხენი, რომლის დაზრდილს კვიცებს, როგორც სანაქებო მატარებლებს, კარგ ფასად ჰყიდდა ხოლმე; მუდამ წელიწადს ერთი წყვილი ტახი, ორი დედა-ღორი თავის ბურვაკებით წვრილ ფეხობას ხომ ბლომად ზრდიდნენ იოკიმეს დედა და მეუღლე.

უძრავის ქონებიდან მეზობლების თვალს ძალა-უნებურად იპყრობდა: გაშლილი სადგომი, სადაც ხალვათად იყო მოთავსებული ორ ოთახიანი ქვიტკირის სახლი; ზედ მობმული ცამეტი ადლის სიგრძე ქვიტკირის ბოსელი, ბოსელს სამხრეთით ბაკი, ბაკის აღმოსავლეთით საღორე და საქათმე ჰქონდა მიდგმული; ოთახებიდგან სამხრეთით კალო და კალოს სამხრეთით შინდის წნელით დაწნული საბძელი; ოთახებიდგან აღმოსავლეთისაკენ ცოტა მოშორებით მუხის გულის ბელელი და ჯონჯლის წნელით ტრუშულად დაწნული ჯიხური.

მსხვერპლაძიანთ მოხდენილი მდგმოიარეობა გათქმული იყო მთელს იმ მხარეში საზოგადოდ და კერძოდ ახლომახლო სოფლებში.

იოკიმეს ოჯახის ზემოხსენებულს ქონებას ზედ ემატებოდა თხუთმეტის დღის მინდვრის მიწა, სამის დღის ნაფუზარი და თავის საბოსტნეთი ერთი გამარჯვებულ დღიური ვენახი. მინდვრის მიწები, ნაფუზარი და ვენახი მამა-პაპის დატოვებული იყო; სახლ-კარი-კი, როგორც ზემოდ ვსთქვით იოკიმემ და მისმა მომჭირნე დედ-მამამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრები თუ იქნება მეტი არა, მაგრამ მცადინე და მშრომელი ხალხი-კია. განათლებას ჯერ-ჯერობით არა აქვს ფესვი მოდგმული; ამ სოფელში მცხოვრებნი დიდად შეწუხებულნი არიან უსკოლობისაგამო, რადგან მათ არც ერთი საკუთარი სასწავლებელი არა აქვთ. მათი ვაჟები თუმცა ხონის საშუალო სასწავლებელში დადიან, მაგრამ სამაგიეროდ მათი პატარა ქალები-კი უსწავლელნი რჩებიან. ხონში არის მხოლოდ ერთად-ერთი ქალების სასწავლებელი, მაგრამ ამ სასწავლებელში ერთობ დიდი გადასახადი არის: ყოველ წლივ მოსწავლემ უნდა გადაიხადოს 22 მანეთი.

აი, ამ ქორჩხველების შეწუხებას ყური მიუგდო ბ-ნმა ი. შარაშიძემ, რომელმაც წელს ქარჩხაბში დააარსა ორ-კლასიანი ქალთა სასწავლებელი; თუმცა სკოლის შენობა არ არის აგებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაქირავებულ სახლებში არის მოთავსებული; ამ სასწავლებელში ჯერ ერთი განყოფილებაა, რომელშიაც სწავლობს 30-მდე ქალი.

ქარჩხაბლები დიდად დაიმედებულნი არიან, რომ ბ-ნი ი. შარაშიძე ააგებს ამ სასწავლებლის შენობასაც.

ალექსანდრე მებუკე.

რუსეთი

— მოსკოვის სტამბებში ძალიან შემცირებულა რიცხვი ასოთ-ამწყობთა. ბევრს სტამბას შეუწყვეტია მუშაობა. 10 სექტემბერს ასოთ-ამწყობთა სიმცირის გამო ორის გაზეთის მეტი არ გამოსულა.

— ახალს დებულებას ადგენენ ამ ჟამად მიწად-მოქმედების სამინისტრო დაბალ სამეურნეო სასწავლებლებისათვის. განზრახვა აქვთ, სრულიად უკოდინარიც მიიღონ ხოლმე ამ სკოლებში, რომ უწიგნოდ, თვალთ-დანახვით შეასწავლონ ესა თუ ის სამეურნეო საქმე.

— ფინანსთა სამინისტროს შეეკითხნენ მრავალნი, დაუკლებ თუ არა ბაჟს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ბამბაზედაო. სამინისტრომ გამოაცხადა, რომ წელს ბაჟი არ იქმნება შემცირებული ბამბაზეო.

— პეტერბურგში დაიწვა ქაღალდის ქარხანა ვარგუნინებისა. ქარხანა დაზღვეული იყო 1.700,000 მან. ქარხნის პატრონთ გამოუცხადებიათ, რომ ზარალი მოგვივიდა 200,000 მანათისაო.

— საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტმა 11 წლის განმავლობაში ერთი-ორად იმატა. დღეს საერო განათლებაზედ სამინისტრო ჰხარჯავს 40 მილიონს. მეტად ცოტაა, რადგან მთლად ხარჯი მილიარდ-ნახევარია რუსეთში.

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის ზოგიერთ ხელმძღვანელთა შორის ამ უკანასკნელ ხანად დიდი აგიტაციაა წინააღმდეგ რუსეთის კავშირისა; მეთაურნი ამტკიცებენ,— რუსეთთან კავშირმა საფრანგეთს არავითარი სარგებლობა არ მისცა და ბევრად უმჯობესი იქნება ინგლისს დავუკავშირდეთო.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირის წინააღმდეგ პირველად გაილაშქრა, სოციალისტთა დასის სახელით, ჟორესმა, საფრანგეთის ეხლანდელ მთავრობის წინამძღოლმა.

ინგლისთან დაახლოვების შესახებ სწერდა სოციალისტთა გაზეთ „პტი რეპ."-ში გამბეტტასა და ბულანჟეს ყოფილი თანამშრომელი ალფრედ ნაკე. ნაკეს აზრით, ინგლისთან შეკავშირება „მშვიდობიანობის პოლიტიკა" იქნება, მაშინ როდესაც საფრანგეთ-რუსეთის კავშირი „ომიანობის პოლიტიკააო". ავტორი ამტკიცებს, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირმა, რომელიც გერმანიის საწინააღმდეგოდ შესდგა, სარგებლობა მოუტანა მხოლოდ გერმანიასაო.

უპირველეს ყოვლისა—სწერს ნაკე—საფრანგეთ-რუსეთის კავშირის გამო უკუვაგდეთ ის აზრი, რომ 1870 წ. მომხდარ ამბების გამო სამაგიერო გვეზღო გერმანიისათვისაო. ამ კავშირს მხოლოდ თავის დაცვის ხასიათი ჰქონდა და ის შედეგი მოჰყვა, რომ საფრანგეთმა მონაწილეობა მიიღო კილის არხის კურთხევის დღესასწაულში. იგივე მიზეზი იყო, რომ მოკავშირეთა მხედრობის მთავარ-სარდლად ჩინეთში ფონ-ვალდერზეე დაინიშნა; ამის შესახებ არც-კი შეჰკითხებიან წინდაწინვე საფრანგეთის მთავრობას.

ეკონომიურად ხომ კიდევ მეტი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთ-რუსეთის კავშირმა გერმანიას, რაიცა ცხადად დაამტკიცა ამერიკელმა ადამს ბრუკმა თავის თხზულებაში „America, s supremacy".

რადგან საფრანგეთს მოკავშირე ჰყავდა, უნდა ხელი შეეწყო მის (მოკავშირის) მხედრობის გაძლიერებისათვის. ჩვენს დროში-კი სამხედრო ძლიერება პირდაპირ დამოკიდებულია რკინის გზათა რაოდენობასა და მრეწველობის განვითარებაზედ; მაშასადამე, ჩვენ ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დავხმარებოდით რუსეთსა. ხოლო რკინის გზათა და მრეწველობის განვითარება შეუძლებელია, თუ დიდი თანხა არა გაქვს. რადგან თანხა რუსეთს არა ჰქონდა, უნდა ესესხნა. ამგვარად რვა, თუ ათი მილიარდი ფრანკი გადავიდა რუსეთს საფრანგეთიდგან.

რუსეთი ხომ იგივე არაა, რაც ინგლისი, რომელიც უმთავრესი მუშტარია საფრანგეთის საქონლისა. რუსეთი ჩვენ თითქმის არაფერს არ გვისაღებს. მეორეს მხრით, რადგან რკინის გზების გამართვა და ამისათვის საჭირო მასალის დამზადება შინაურულად ვერ მოახერხა, აიღო და ყოველივე საფრანგეთის ფულით შეიძინა.. გერმანიაში. იმ დროს, როცა სამხედრო ძალას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მრეწველობას, საფრანგეთმა თავის ფულით იმდენად ვერ გააძლიერა მოკავშირე, რამდენად ხელი შეუწყო გერმანიის ქარხნების განვითარებას, რაიცა, ცხადია, საზარალოა საფრანგეთის ქარხნებისათვის.

რუსეთს რომ გერმანიის მაგივრად საფრანგეთში დაემზადებინა საჭირო მასალა, საფრანგეთის წარმოება აიწევდა და გაძლიერდებოდა.

ინგლისი სრულიად არასა სთხოვს საფრანგეთს ევროპაში; მხოლოდ ისა სურს, როგორც განსვენებულმა სოლსბერმა განაცხადა, რომ დაცულ იქმნას ეხლანდელი საზღვრები სახელმწიფოთა შორის. ჩემის აზრითაო, — დასძენს წერილის ავტორი, — მეტად გონივრი სურვილია: უნდა შევურიგდეთ ოდესმე არსებულ ფაქტებსაო".

ოსმალეთი. გაზ. „ინდ. რუმ."-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება: მაკედონიიდან დაბრუნებულ რუსეთის საელჩოს მეორე დრაგომანმა, მანდელშტამმა, განუცხადა ჟურნალ-გაზეთობის კორესპონდენტებს,—მაკედონია საზარელს მდგომარეობაში იმყოფებაო... ოსმალო ჯარის კაცები თავიანთ ძალ-მომრეობითა და ბარბაროსულ ქცევით თავზარსა სცემენ, როგორც ბულგარებს, ისე ბერძნებსაცაო. ბერძენნი მაინც ზიზღით უყურებენ მათთან ერთ ტაფაში მოქცეულ ბულგარებს და ისევ ოსმალებს ემსახურებიან ჯაშუშებათაო, რასაც მე, მანდელშტამი, „ბერძნების დიდ შეცდომადა და მათ მიერ თავიანთ ინტერესების შეუგნებლობადა ვსთვლიო". მანდელშტამს ავსტრია-უნგრეთის კონსულთან ერთად მოუვლია მაკედონიის ვილაიეტები და ირწმუნება, კოსოვოს ვილაიეტში ბერძნები სრულებით არ არიანო; იგინი მარტო მონასტირისა და სოლონიკის ვილაიეტებში მოსახლობენო.

— გაზ. „ნეონ ასტ."-ის სიტყვით,— ედუარდ მეფეს უკანასკნელად შეხვედრის დროს დაურწმუნებია გიორგი მეფე,— ინგლისი ეცდება, რომ ბერძენთა უფლება და ინტერესები მაკედონიაში ბულგართა მსხვერპლად არ იქცესო.

ნარკვევი

პროფ. სუმცოვი ახასიათებს ი. ტურგენიევის კერძო წერილებს. ავტობიოგრაფიულ მასალის გარდა. ამ წერილებში მრავლად არის დახასიათება ტურგენიევის დროის მწერალთა, საზოგადო მოვლენათა და ბოლოს ბევრია პოეტური სურათებიო. რუსეთის მწერალთა შორის, მარტო ტურგენიევის წერილები შეიძლება იკითხოს კაცმა, ვითა ნამდვილი ხელოვნური ნაწარმოებიო.

ყოველის მწერლის წერილები საინტერესოა და საჭირო ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე ზნე-ჩვეულებათა მკვლევართათვის, ხოლო ჩვეულებრივ მკითხველისათვის წერილები, მაგ. პუშკინის, მეტად მშრალია და კუდ-მოკვეცილები, თუმცა დიდია შიგ გულ-წრფელობა და საქმიანობა; ჟუკოვსკის წერილები, მართალია ლმობიერის კილოთია დაწერილი, მაგრამ მეტად გაჭიანურებულია, მრავალ სიტყვაობით სავსე და არა - ცხოველი. გოგოლის წერილები სამძიმო წასაკითხავია. ბევრია შიგ მოსაწყენი დიდაქტიზმი, თან ბნელია ზნეობრივი მისი აზრები. შიგა და შიგ ტრაბახსაც შეხვდებით და ფარისევლობასაც. უფრო მეტს უსიამოვნობას ჰბადავს კითხვა დოსტოევსკის წერილებისა. დოსტოევსკის წერილები პირადობით, ეგოიზმით უკმაყოფილობით არის გამსჭვალული, ალაგ-ალაგ თავს იჩენს ძლიერი გრძნობა შურისა და გაბრაზებისა. ცხადია, პუშკინს არ უყვარდა წერა წერილებისა და სცდილობდა, რაც შეიძლებოდა მოკლედ დაეხატა თვისი აზრი და თავიდან მოეშორებინა ეს უსიამოვნო მოვალეობა. ჟუკოვსკი წერილების წერას ისე უცქერის, როგორც მუსაიფს მეგობართა შორის. გოგოლისათვის წერილი ან ქადაგებაა, ან თავის თავის გვემა და ტანჯვა. ტურგენიევის კერძო წერილი-კი მაღლდება მშვენივრად დაწყობილ სალიტერატურო ქმნილებამდე. აქ ავტორი თავის თავსაც შეეხება კრიტიკულად, სხვა ავტორებსაც, იქნება ხანდახან მიკერძვითაც, მაგრამ მუდამ სიტყვა-მოსწრებით, სხარტედ. წერილებს სწერს ტურგენიევი მბილად, ზრდილობიანად, კეკლუცად და დიდის, ოსტატურის შნოთი და ლაზათითაო.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ოზურგეთი. 7 სექტემბერს, აქაურმა დასმა გაჰმართა მეშვიდე წარმოდგენა გ. ბებურიშვილის საბენეფისოდ. ითამაშეს: «მშვენიერ ელენეს მაძიებელნი», ა. ცაგარლისა და «საცოლე ერთი საათით» დ. აწყურელისა. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ნინა და ელისაბედ თაყაიშვილის ასულნი, ევ. წუწუნავა, კ. ხურციძე. ბ-ნნი ვ. უწყინარიძე, ა. წუწუნავა, გ. ბებურიშვილი, ს. ხურციძე. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ასე რომ რაც აქ წარმოდგენები დაიწყო, ასე მშვენივრად არც ერთხელ არ უთამაშნიათ. მშვენივრად შეასრულეს თავისი როლები ქ-ნებმა ნინა და ელის. თაყაიშვილებმა, პირველმა ჭანჭურაძისა და მეორემ ნინოს როლი. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი ევ. წუწუნავა ვარდო თაიგულოვის როლში. ბ-ნი ვ. უწყინარიძე მახოხაშვილის როლს ასრულებდა და სწორედ შესამჩნევად ჩაატარა. კარგები იყვნენ ბ-ნნი წუწუნავა და ბებურიშვილი, პირველი ღომაძისა და მეორე არტისტ გულდოვის როლში.

ვოდევილი «საცოლე ერთი საათით» საზოგადოდ კარგად წარმოადგინეს, განსაკუთრებით კარგად ასრულებდა თავის როლს ქ-ნი კ. ხურციძე ლიზას როლს, ხოლო ბ-ნი ალ. წუწუნავა შეუდარებელი იყო დენშჩიკ პორფირის როლში...

დასასრულ იყო საკონცერტო განყოფილება და ისე საუცხოვოდ მღეროდნენ გიტარაზე ქ-ნნი ნ. და ელ. თაყაიშვილის ასულნი, რომ საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. დაუსრულებელი ტაში და „ვაშას" ძახილი ისმოდა.

საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ წარმოდგენით და ნასიამოვნები დაბრუნდა...

მ...

სოფ. იყალთო (თელავის მაზრა). 13 მარიამობისთვეს გაიმართა ქართული წარმოდგენა კნიაჟ. ე. გ. მაყაშვილის მეთაურობით და ქართულის დასის მსახიობთ ქ-ნ ნ. მ. გაბუნია ცაგარლის და ბბ. გამყრელიძისა, აწყურელისა და სხვათა მონაწილეობით. წარმოადგინეს: 1, «დაქცეული ოჯახი» კომ. 3 მოქ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა, 2, „დედის ერთა" ვოდ. 1 მოქ. თარგ. გუნიასი. წარმოდგენა გაიმართა იყალთოს „სახალხო ბიბლიოთეკის" სასარგებლოდ. თუმცა წვიმიანი დღე იყო და ავდრის გამო წყლები ისე ადიდდა, რომ მიმოსვლა სოფლიდან სოფლად შეუძლებელი შეიქმნა, მაინც დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, ასე, რომ დიდის ხარჯისა, მსახიობთა ჯილდოსი და სხვა ხარჯის გარდა ათი თუმანი დარჩა ბიბლიოთეკას.

დიდის მადლობის ღირსნი არიან თავადის ასულნი ე. და თ. მაყაშვილისანი და კნეინა გ. მაყაშვილისა, როგორც მოთავენი ამ ფრიად კეთილის აზრით გამართულ წარმოდგენისათვის, აგრეთვე თავადი ივანე მაყაშვილი, რომელმაც ყოველისფრით ხელი შეუწყო ზემოხსენებულ პირთ წარმოდგენის გამართვაში და რომელმაც მშვენივრად მოაწყო ფანტასტური წარმოდგენის გასამართავად.

თუმცა აგერ ხუთი წელიწადია, რაც ყოველ წელს იმართება ზემოდ დასახელებულ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ წარმოდგენები და გროვდება ფული, მაგრამ ბიბლიოთეკას დღევანდლამდინ არც საკმაო წიგნები აქვს და არც საკუთარი სადგომი. დღესაც თავად გიორგი მაყაშვილის სახლში არის მოთავსებული და ამასაც რომ უსასყიდლოდ არ დაუთმო თავისი ისტუმრო ოთახი, ხომ დღევანდლამდინ სულს დალევდა საწყალი ბიბლიოთეკა! ხომ მოგეხსენებათ, გლეხის გოგოს ანუ ბიჭს, როგორ ერიდება, თავადის სადგომ ოთახში შესვლა, თავისი ლაფიანი ფეხებით, როცა ოთახი ისეთი რბილი ავეჯით არის მორთულ-მოწყობილი, როგორც ზემოხსენებული სადგომია. აი, ამისთვის ბიბლიოთეკას თავის დანიშნულებისათვის მიუხწევია და ჟურნალ-გაზეთები მღვდელ-დიაკვნებს აღარ შორდება. წიგნები ხომ ვისაც მიაქვს, ბიბლიოთეკას აღარ უბრუნებს.

ნეტავი როდემდინ უნდა იყვნენ ჩვენი უმაღლეს სასწავლებელ კურს-დასრულებული ვაჟ-ბატონები ესე გულ-აცრუებულნი თავიანთ სოფელზედ და სოფლის კეთილ-დღეობაზედ. ნუ თუ მოვალეობად არა სთვლიან თავიანთ თავსა, რომ ისინიც მხარში ამოუდგნენ აქაურ ქველ-მოქმედ მანდილოსნებს და დაეხმარონ ამ ერთად-ერთ, სასოფლო საკეთილო დაწესებულ ბიბლიოთეკის გაუმჯობესობას?!

ნებას მივცემ ჩემ თავს და მოვაგონებ ზოგიერთა უმაღლეს სასწავლებელში კურს დასრულებულთ, რომელთაც ასეთივე მოგროვილის ფულით დახმარებიან და ეხლა იგინი უკვე კარგს ადგილზედ არიან და კარგი ჯამაგირიც ეძლევათ, მათაც დაუბრუნონ

იოკიმესაგან გზაში მუშაობით აღებულის ფულებით მოაწყეს. საქონელიც, მორბედების მოსწრების შემდეგ, უფრო მოაშენეს. ჭირნახული და ღვინო ბლომად მოსდიოდათ; ფული თუმცა გავალებული არა ჰქონდათ, მაგრამ სახლში ხუთ თუმნამდის კი სულ მუდამ გამოულეველი ჰქონდათ; სტუმარს უღვინოთ პურს არ აჭმევდნენ და სამკალში ღვინო ხომ უხვად ჰქონდათ. ყოველ გვარ გადასახადებს ისე ისტუმრებდნენ, რომ მამასახლისს, ჩაფრებს და ხარკის ამკრეფებს თავიანთს კარებზედ არასოდეს არაფრის გულისთვის უშნო ქართულსაც არ ათქმევინებდნენ, არამც თუ დაეყვირებინათ ვინმე.

იოკიმეს სრულიად საკუთარი ოჯახი ჰქონდა. იგი იყო ერთად-ერთი საყვარელი შვილი თავის დედ-მამისა, რომელნიც სულ მუდამ თვალ-წარბში უცქეროდნენ, მეტად წყნარი და სათნოიანი მოხუცებულებიც იყვნენ. სამაგიეროდ იოკიმეც დიდის მოკრძალებით და პატივისცემით ექცეოდა. ეს უსაზღვრო სიყვარული უფრო გამრავალკეცდა მაშინ, როცა იოკიმეს გაუჩნდა ერთმანერთზედ მოდევნებული ხუთი შვილი, რომლებსაც იოკიმე განგებ წასჩხუბებდა, ჩხუბში თავის მეუღლე მაგდანას და დედ-მამასაც გაურევდა და თითონ-კი ჩუმად კუჭკუჭებდა. ამას მიუხვდებოდა მაგდანი, სამაგიეროს გადასახდელად იოკიმეს მიეპარებოდა, ერთს მაგრად უჩქმეტდა და ისე შეახტუნებდა, რომ უკანასკნელი „უჰ-უჰ"-ს ძახილით და სიცილ-ხარხარით თავის დანაშაულს სულ გამოააშკარავებდა; ეს გამოაშკარავება-კი მათს ჩხუნკალს სიცილ-ხარხარად და სიხარულის კიჟინად გარდააქცევდა. მაგდანი რომ იოკიმეს ჩქმეტით შეახტუნებდა, მისი ოთხის წლის ქალიშვილი მაშინვე მიხვდებოდა, რომ მათის ჩხუნკალის მიზეზი მამა მისი იყო; ერთს ხანს შეაჩერდებოდა და წამოიძახებდა: „პაპაი! მამა კოფილა!"

აი ეგ მ—ლი, ეგა! ადექით ერთი, აქ მომგვარეთ, რო ე ჩემი ჩობახი ჩაუკაკუნო თავში!—ეტყოდა პაპაი და თან თეთრ ულვაშებში იღიმებოდა.

— მე კა არა, მამა! შფოთის ამშლელები სულ ეგენი არიან, ეგ მ—ები, ეგენი, უპასუხებდა იოკიმე და თან გულიანად გადიხარხარებდა. ამ კიჟინზედ წამოცვივდნენ შვილები, ჯინჭვლის გორასავით მიეხვეოდნენ მამას და თან ეუბნებოდნენ: „სულ შენა ხარ, რაცა ხარ, სულ შენი ბრალია"-ო და თან სიცილ-ხარხარით ზედ დაგორავდნენ.

— „წვერები დააგლიჯეთ, წვერები" — აქეზებდა დიდედა და თან სიამოვნების ჟრუანტელი მთელს ტანში უვლიდა.

— დაკათ მაგ მ—სა, დაკათ!—აქეზებდა პაპაც და ჩუმის სიცილით ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა. ამ კიჟინსა და ალიაქოთში სიამოვნებით დამთვრალი მაგდანიც იოკიმესკენ ხელს ჩუმად გააპარებდა და ეშმაკურად სჩქმეტდა. იოკიმე „უჰ, უჰ"-ს ძახილით წამოვარდებოდა და გაექცეოდა.

II

მაისის შუა რიცხვებში ერთს შაბათს საღამოს იქცეველებს გზირმა დაუარა და გამოუცხადა: „ხვალ, დილის ცხრა საათზე, სოფ. რუეთის კანცელარიაში „ჩინონიკი" კომლზე კაცს გიბარებთ, დილაზე სხვაგან არსად წახვიდეთ, თორემ, ვინც „ჩინონიკთან" არ გამოცხადდება, კანონისამებრ დაისჯება!.."

გათენდა კვირა დილა და მწვანე სამოსლით დაჩადრულს მთა ბარს მზემ თავისი ბრწყინვალე სხივები მოჰფინა. მთა-ბარის მწვანე ჩადრის ფოჩ-კალთებს წყნარი სიოალერსით აფრიალ-აბიბინებდა. სხვა-და-სხვა ყვავილების სურნელოვანებით შეზავებული ჰაერი დინჯის ნაბიჯით დასეირნობდა. ყოველი სულიერი არსება არსებობისათვის გაფოთებული იბრძოდა. იქცეველებსაც მოეყარათ ერთად თავი და დინჯის, მაგრამ გრძელის ნაბიჯით რუეთის სასოფლო კანცელარიისაკენ მიაბიჯებდნენ. ყველა ამ მოძრაობას ლურჯად მოკრიალებული ცის კამარა დასცქეროდა. მოატანა შუადღემაც და ბრძოლისაგან მოქანცული ყოველივე არსება მოსვენებას მიეცა. იოკიმეს სახლში მყოფთ მოემზადებინათ სამხარი და იოკიმეს გზას შესცქეროდნენ. აგერ, ისიც მოვიდა; ისამხრეს, ისინიც მოსვენებას მიეცნენ და მამა-შვილმა თან საუბარი გააბეს.

— რა გამოგიცხადათ, შვილო, ი „ჩინონიკმა"?—ჰკითხა საბამ (იოკიმეს მამის სახელია) იოკიმეს.

— რა გამოგვიცხადა და ის გამოგვიცხადა, რომ—დაიწყო იოკიმემ—ხარჯის ფული უნდა მოგიმატოთ და სკოლა დაგიარსოთო.

— მერე, ხალხმა რა უთხრა?—ჰკითხა გაჯავრების კილოთი საბამ.

— ხალხმა დიდი უარი უთხრა და ი ვილაც კანკრუხა „ჩინონიკი" იყო, კიდევაც პირში ჩალა-გამოვლებულს გაისტუმრებდნენ შინისაკენ, რომ ერთი „დიდკაცი" არ მოსულიყო. ჰეჰეიიი. ძაან ჭკვიანი კაცი იყო და ხერხიანადაც მოქმედობდა ხალხში: თითქო თავის ტოლიაო, ხან ვის გადახვევდა ხელსა, ხან ვისა, ხალხიდან განზე გაიყვანდა და იქ ელაპარაკებოდა. როცა ცალ-ცალკე დაიყოლიებდა, მერე ერთად დაუწყობდა ლაპარაკსა.

საბა დამშვიდდა, შეტოკდა და სთქვა:

— ეგ თუ იქნებოდა, შვილო, „ღიარანალი როა", ის იქნებოდა.

— ჰო, მამა, ეგრე ამბობდნენ, ის არისო.

— ჰაი, იმას-კი ვენაცვალე სულში, იმასა! ეგრეთია ეგ მამაცხონებული, გლეხკაცებითვინ ძაან მოწყალეა; მე დიდი ხათრი მაქს მაგისი და შენც დიდი ხათრი უნდა გქონდეს, შვილო. ეგა, შვილო, იმათ-კი არა ჰგავს, წინ ქამარზე არდიგარდმო ხანჯლები რომ აქვთ, მხარ-იღლივ საყევარივით ხმლები ჰკიდიათ უკან, ან გვერდზე „ლეიორი" რო ჩამოუკონწიალებიათ და ისე დადიან, თითქო ლეკიანობააო. ისინი სულ შარზე დადიან, თვალი გაკვრა-გაგლეჯაზე უჭირავთ და ერთი თუ წამოსცდა ვისმე: „ბატონო, თვალი შავი გაქსო", მაშინვე ან დაჩეხენ ან მათრაჰით თავპირს აუნთებენ და ან რასმეს დამართებენ. ისინი, შვილო, სულ ტყუილად დაათრევენ დიდკაცის სახელს. აი, მაგ ღიარანალს-კი ენაცვალნენ, ვინც ტყუილად დაათრევდეს ი დიდკაცის სახელსა!.. გლეხკაცობა მაგას ძალიან უყვარს; სალამს ვერავინ დაასწრებს; სულ სიცილით გელაპარაკება; მოგიყვება ტკბილად და მამაშვილურად დაგარიგებს. ხალხსაც ისე ძალიან უყვარს, რომ მაგის გულისთვის თავს არავინ დაზოგავს.

— მართალს ამბობ, მამა; ძაან ტკბილი მოლაპარაკე კაცი ყოფილა და მეც ძალიან შემიყვარდა. გადამხვია ხელი და იცი, რა მითხრა?!.

—„ამ სკოლას რომ გაგიხსნით შენი შვილი აქ ისწავლის; მერე სხვაგან, უფრო დიდს სკოლაში და სწავლული გამოვა, ბედნიერი იქნება. კიდევ ბევრი კარგი რამეები მელაპარაკა, მაგრამ ყველას ვინ დაიხსომებდა.

ხალხსაც ბევრს ელაპარაკა და დაიყოლია სკოლის გამართვაზედ.

ამან ყველა იქ მყოფი დიდ-კაცები ძალიან გაახარა, უფრო-კი ი ღიარანალი და კიდევ დაიწყო: „აი, შვილებო, ზოგს მე შეგეწევით, ზოგსაც სხვები გეწევიან, ცოტაც თქვენ გამოიღეთ, დაიარსეთ სკოლა, წახვალთ და ღმერთი გიშველითო". ხალხმა დიდი მადლობა უთხრა და ყველანი დავიშალენით.

— ი „ჩინოვნიკმა" რაღა ილაპარაკა?

— იმანაც ბევრი ილაპარაკა, მაგრამ, ეჰ! სუ ტყუილად მიესკუპებინა ი მასკვლავი ქუდზედა. იმას ხალხისა არა გაეგებოდა-რა და ხალხს კიდევ იმისი.

— მაკ სკოლის გახსნით, მართალია, ხარჯი მოგვემატება, მაგრამ არა უშავსრა; ორი დღის ნახნავიც მოვუმატოთ და მაგის ხარჯსაც, როგორც იყვეს გავუძლოთ...

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ხალხისგან მოგროვილი ფული ისევ მათ, ვისგანაც მიუღიათ, რომ შესაძლებელი იყოს ახლა სხვა მოსწავლეთ აღმოუჩინონ შემწეობა, რომელნიც დღითი-დღე ემატებიან და მათი აღზრდის საღსარი კი არ არის, არამც თუ უმაღლეს სასწავლებელში, არამედ საბადოსნოს და სახელოსნოშიაც-კი. ესეთი სახალხო ფულით კურს დასრულებულები კი თელავს და თელავის მაზრას საკმარისად ჰყავსან, რომელნიც სოფლის ჭირ-ვარამს და თავიანთ მოძმეთა გასაჭირს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. აქ არც სამრევლო სკოლებია, თუმცა ორი ეკკლესიაა და ორივეში მღვდლები არიან, აქაური ბავშვები აწყურის (სხვა სოფელია) სასწავლებელში დადიან.

აბუა.

სასამართლოს მატიანე

მეჟევიძის მოკვლა.

გამოძიებამ შემდეგი აღმოაჩინა:

15 ივლისს, ამა 1903 წელს, მტკვრის პირად, კირაკოზოვის ბუფეტში ვახშმად შეკრებილან მილიციის პრაპორშჩიკი თავ. რევაზ მიხეილის ძე ყარალაშვილი, სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი ივლიანე ალექსანდრეს ძე ქავთარაძე, თავ. ზაქარია მიხეილის ძე რუსიშვილი, თავ. ნიკოლოოზ ლევანის ძე ჯორჯაძე, თავ. დავით მიხეილის ძე ყარალაშვილი და ტფილისის მცხოვრები გიორგი გრიგოლის ძე მეჟევიძე. ნავახშმევს დანახარჯი აღმოჩნდა 15 მანეთამდე. შეჰკრიბეს ეს ფული და დახლში გადასაცემად ჩააბარეს მეჟევიძეს. მეჟევიძემ ფული დროზე არ გადასცა და, როცა მსახურმა ღუღუნაშვილმა სთხოვა ფულები გადაეხადნათ, იქ მყოფთ უსაყვედურეს მეჟევიძეს. ლაპარაკი ჩხუბად გადაქცეულა, რომლის დროსაც მეჟევიძე წასულა ბუფეტიდან. ცოტა ხანს შემდეგ მოქეიფენი გამოსულან ქუჩაში და დაუწყიათ რაღაცაზე ლაპარაკი. ამ დროს მოურბენია მეჟევიძეს და რევოლვერით სროლა დაუწყია იმათთვის. ორგან დაუჭრია რევაზ ყარალაშვილი და ერთგან ივ. ქავთარაძე. თავის მხრივ ყარალაშვილს ამოუღია რევოლვერი, დაუმიზნებია მეჟევიძისათვის, მაგრამ არ გავარდნილა. შემდეგ უძვრია ხანჯალი და ისე ძლიერ ჩაუკრავს მუცელში მეჟევიძისათვის, რომ იგი იქვე მომკვდარა.

ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ ადმინისტრატიულ კრებაზე და, რადგან დარწმუნდა, რომ თავ. ყარალაშვილმა მეჟევიძე მოჰკლა იმ დროს როცა თავს იცავდა, სასჯელთა დებულების მე-101 მუხლის თანახმად, დაადგინა საქმე მოისპოს და თ-დი ყარალაშვილი ამ მკვლელობისათვის პასუხის გებაში არ მისცეს.

წერილი

რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო კნ. მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ ორბელიანისას, რომლისაგანაც მივიღე 15 მან. გარდასაცემად კატო მიქელაძისა, რომელიც გაემგზავრა ქ. მოსკოვში უმაღლეს კურსებზე შესასვლელად და სამუსიკო სასწავლებლის ნიჭიერის მოწაფის ილიკო აბაშიძისა.

თეკლე იასონის ასული ცისკარაშვილისა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 სეკდემბერი

დარმშტატი. გრაფი ლამზდორფი მოდის აქ 13 სეკდემბერს და დარჩება რამდენსამე ხანს ხელმწიფე იმპერატორთან.

სოფია. ინგლისის დიპლომატიურმა აგენტმა გადასცა გარეშე საქმეთა მინისტრს შემდეგი ცნობანი: „ნურც ოსმალეთს და ნურც ბულგარიას იმედი ნუ აქვთ, რომ მხარი დაუჭიროს ინგლისის მთავრობამ, უკეთუ ცხადლივ თუ ფარულად მოინდომებენ რეფორმების წინააღმდეგობას. ინგლისის მთავრობა აიძულებს ოსმალეთს, რომ რაც შეიძლება ვრცელი რეფორმები შემოაღებინოს“.

პარიჟი. ჰაერში მოგზაური გრაფი დელა-ვო ჰაეროსტატით ავიდა 13 სეკდემბერს, საღამოს 6 საათზე სენ-კლუს პარკიდან და დაეშვა 14-ს სეკდემბერს საღამოს 5-ს საათზე გულს.—ახალ ჯაკრის კაცთა რიცხვი 1904 წ. 196,000 აცი იქნება, შარშან კი იყო 232,000.

ტიანცზიანი. ბეითანის, რომელიც 6 მილის მანძილზეა ტაკუდან, შავი ჭირი და ხოლერა მძვინვარებს. რიცხვი მკვდართა ამ უკანასკნელ ორის თვის განმავლობაში ავიდა 2,000-დე.

16 სეკდემბერი

მოსკოვი. აკურთხეს ს. ტ. მოროზოვის ხარჯით აგებული შენობა საერობო შინამრეწველობის მუზეუმისათვის. მუზეუმთან მოწყობილია განსაკუთრებული განყოფილება სამოსწავლო კოლექციებისა საწყობით და სახელოსნოებით.

ელეცი. დაიწვა ორი წისქვილი პეტროვისა და ოხოტნიკოვისა. ზარალი 200,000 მანათამდეა. წისქვილები დაზღვეული იყო.

სტამბოლი. 14 სეკდემბერს ხონთქარმა ინახულა ქედივი და გამოეთხოვა. ქედივი 15 სეკდემბერს მიემგზავრება ეგვიპეტს.—ოსმალო-ბოლგართა მორიგების წინ—უძღოდა შემდეგი გარემოებანი: ოსმალთა ცნობებით, პირველი ნაბიჯი გადასდგა ბოლგარიის მთავრობამ და შეეკითხა პორტას, ნამდვილად განხორციელებულ იქმნება რეფორმები თუ არა მაკედონიაში მოძრაობის მოსპობის შემდეგ და ბოლგარიის გადაწყვეტილებაც ამ საგნის შესახებ შეწყნარებულ იქმნება თუ არა, პორტამ თანხმობა გამოაცხადა და შეუთვალა, დანარჩენ პირობათა გამოსარკვევად დანიშნულ იქმნება კომისია ხილმი-ფაშის თავმჯდომარეობით, კომისიაში დანიშნულნი იქმნებიან მაკედონელნი ბოლგარნიო. შემდეგ დაიდო პირობა, რომ ბოლგარიის ეკლესიები და სკოლები უნდა ხელ-ახლად დადებულ იქმნას, ბოლგარიის ემიგრანტები დაბრუნებულ უნდა იქმნან სამშობლოში, დაქცეული სოფლები უნდა აღდგენილ იქმნას და ღონისძიებანი უნდა იყოს მიღებული, რომ ჯარმა და ბაშიბუზუკებმა მხეცობა აღარ მოიქმედონ. კონსულთა ცნობით სალონიკიდან, მონასტირიდან და უსკიუბიდან, ისე ლაპარაკობენ, ვითომ კომისიის წევრთ უნდა იმუშაონ, როგორც გენერალ-ინსპექტორის თანაშემწეთაო. მუსტაფა-ფაშის მახლობლად აჯანყებულთ დასწვეს ოსმალთა დაბა და ყველა მუსულმანნი ამოსწყვიტეს.

მადრიდი. აქ მოვიდა საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტი კომბი.

სოფია. ლონდონში დიპლომატიურ აგენტად დანიშნული ცოკოვი გაემგზავრა თავის ადგილზედ.—ნახევიჩი სტამბოლს მიდის, როგორც დესპანი ბოლგარიის მთავრობისა.--აქაურ მაკედონელთა კლონიის თაოსნობით ქალაქის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ოსმალთა მოკლულ ჯარის კაცების სულის მოსახსენებლად.

ბელგრადი. მოვიდა კონსტანტინოპოლში ელჩად მყოფი გურიჩი.

სოფია. პოლიტიკის ხელმძღვანელთა შორის ამბობენ, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საფრანგეთი და იტალია მიემხრობა ინგლისსა, რომელმაც, როგორც იუწყებიან, აცნობა ბოლგარიას, მე ვაიძულებ ოსმალეთს უფრო ნამდვილი რეფორმები შემოიღოსო,—ნახევიჩი დათანხმდა და წავა სტამბოლს.

სტამბოლი. 16 ბატალიონი გამოიყვანეს მონასტირის ვილაიეტიდან და დააბინავეს საზამთროდ სტრუმატიდს.

სოფია. პეტროვმა მოითხოვა ოსმალეთის კომისრისაგან ერთის ბოლგარელის დანიშვნა კიდევ კომისიაში, კომისარი დაჰპირდა, ვიშუამდგომლებ, რომ შენი სურვილი დაკმაყოფილებულ იქმნასო.

პეტერბურგის ბირჟა 9 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,55
ბერლინში 100 მარკაში . , . .	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,20
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი.	.5—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა . . .	99¹/₂ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95¹/₈ მყიდ.
5% პირ. შინაგ მომგებ. ბილ.18	
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . .	336³/₄ წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . .	287¹/₂ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92¹/₂ წვ. გაყ.
5% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9400 გაყ.
აქციები. „ ,, ,,	465 წვ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა. . .	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	385
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	190 წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) სათოსტო № 3 საღამოს 6 ს, 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) სათოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 დამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) სათოსტო № 74_{75} დამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{3}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ; 1) სწრაფი № დამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს, 42 წ. 2) სათოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს, 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ; 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს, 51 წ. 2) სათოსტო № 3 საღამოს 10 ს, 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ; დამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; დამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადებანი

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის სადგომში 18 სეკდემბერს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემ ბორნისა მდ. მტკვარზე, მუხრანის ქუჩისა და რიყის შუა.

ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები გასინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში საქმის დღეს დილის 9 საათიდან 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვისაც ვაჭრობა უნდა, მოვალეა წარადგინოს 1,600 მანეთი. ვაჭრობა დაიწყება 11,000 მანათიდან. (2—6—1)

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 11¹, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—19)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

კოკორი ანუ ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი,

სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ახლად დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების-მიერ და ისყიდება ამ საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ორი შაურია ვინც ათზე ნაკლებს არ იყიდის, თითო წიგნი მიეცემა 8 კაპეიკად, ვინც ოცობით იყიდის, 7 კაპეიკად დაეთმობა წიგნი.

(6—6—6)

გამოვიდა და ისყიდება

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—13)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.

წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცალ-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 სეკდემბრისთვის 1903 წლისა.

აქტივი.

		მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები).		26230	21
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ დაწესებ.		369	20
III. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკი ტფილისის განყოფ.		1000	—
IV. სარგებლიანი ქაღალდები საზოგადოების საკუთვნონი:			
ა) უზრუნველ-ყოფილნი: .	1591—76		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი	7927—	9518	76
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . .		7283	19
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი		310392	80
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით.		500	—
VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები . .		3606	21
IX. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწიფოს დ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. .	17293 —		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ.	34246—		
გ) საქონელზედ . . .	24332—91		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ.	5615—	81486	91
X. დასაბრუნებელი ხარჯი . . .		115	25
XI. მოწყობა და მომართვა. . . .		2211	44
XII. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	111029—01		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	34696—75	145725	76
XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ.		189	05
XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . .		405	55
XV. მიმდინარე ხარჯები		11177	83
ბალანსი		600212	16

პასივი.

		მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 812 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან.		91262	—
II. სათადარიგო თანხა: . . .		8313	38
III. % % ქაღალ. სათადარიგო თანხისა .		140	60
IV. შემოტანილი თანხა . . .			
ა) მიმდინარე ანგარიშით .	156020—		
ბ) ვადით . . .	131295—76		
გ) უვადოთ . . .	5000 —	292315	76
V. გარდასაცემი თანხა		1649	36
VI. გარდასახდელი სარგებელი. . .		1828	37
VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . .		2	23
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად . . .		556	—
IX. გარდასაცემად მიღებული თანხა .		3000	
X. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	84344—89		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	53982—89	138327	78
XI. ვექსილები გადაგირავებული ტფ. სახელ. ბანკის განყოფ. . . .		20000	—
XII. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში ტფ. სახელმწიფო ბანკის განყოფ. .		20167	25
XIII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებ.		2829	44
XIV. წაუღებელი დივიდენდი 1902 წლისა .		2007	24
XV. მიღებული სარგებელი . . .		17712	75
XVI. მოგება და ზარალი 1903 წლისა. .		100	—
ბალანსი.		600212	16
პასუხის-მგებლობა 822 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ.		821358	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება		11200	—
თამასუქები საკომისიოდ. . . .		8341	—

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно гиг. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.